<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისშეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქველმოქმედო და ფილანთროპიული საქმიანობა“;

2. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობა

1. ფილანთროპიულ და საქველმოქმედო საქმიანობას მიკუთვნებული საქმიანობის სახეები, განხორციელების სფეროები და პირობები განისაზღვრება „ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.

2. ქველმოქმედებას/ფილანთროპიას არ მიეკუთვნება ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საქმიანობა:

ა) განხორციელებული სახელმწიფო ხელისუფლების და მუნიციპალიტეტების მიერ;

ბ) განხორციელებული საწარმოს, პოლიტიკური პარტიის ან არჩევნებში მონაწილე სხვა საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად;

გ) განხორციელებული ფიზიკური პირის მიერ საკუთარი ნათესავებისათვის ან იურიდიული პირის მიერ თავისი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებისათვის და მათი ნათესავებისათვის;

დ) თუ ის „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით სპონსორობად ითვლება.“.

3. მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული ორგანიზაციისათვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა არ ითვლება საქონლის მიწოდებად/მომსახურების გაწევად.“.

4. 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 32. ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაცია

ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების აღიარების წესი და პირობები, ასევე შესაბამისი ორგანიზაციების რეესტრის წარმოების წესი განისაზღვრება „ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის“ შესაბამისად.“.

5. 82-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დადგენილი წესით რეგისტრირებული პირის (რომელიც იღებს საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დასახიჩრებული პირის, ასევე ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული პირის ოჯახის წევრის მიერ საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული ორგანიზაციისგან უსასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულება;“;

ბ) პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ[46]“ ქვეპუნქტი:

„ჰ[46]) საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული საქმიანობის შედეგად მიღებული თანხების ფიზიკური პირებისათვის ქველმოქმედების ან/და ფილანთროპიის მიზნით გადაცემა, თუ აღნიშნული მიზნით თანხების ხარჯვა დოკუმენტალურად არის დადასტურებული.“.

6. მე-100 მუხლის მე-4 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ და „ლ“ ნაწილები:

„კ) საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული ორგანიზაციისათვის უსასყიდლოდ მიწოდებული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება ან/და საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული ორგანიზაციისათვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა;

ლ) ფილანთროპიის ან/და ქველმოქმედების განხორციელების მიზნით გაწეული მობილური საკომუნიკაციო მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავალი.“.

7. 111-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7[1] ნაწილი:

„7[1]. თუ საგადასახადო წლის განმავლობაში ძირითად საშუალებათა საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული ორგანიზაციისათვის უსასყიდლოდ მიწოდებისას - მათი საბაზრო ღირებულება, აღემატება ჯგუფის ღირებულებით ბალანსს წლის ბოლოსთვის, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლდება.“ .

8. 117-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 117. საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული საქმიანობის განხორციელების მიზნით გაცემული თანხების გამოქვითვა

1. ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საწარმოს/მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიულ ორგანიზაციებზე გაცემული თანხის ორმაგი ოდენობა, მაგრამ არა უმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების (ამ მუხლით გათვალისწინებული გამოქვითვის გარეშე) შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტისა.

2. „ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური მეწარმეობის განმახორციელებელი სუბიექტის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლიდან სრულად გამოიქვითება საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული ორგანიზაციებზე გაცემული თანხები.

3. საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლიდან სრულად გამოიქვითება საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული საქმიანობის განხორციელების მიზნით გაწეული დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯები.“.

9. 171-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „შ“ ქვეპუნქტი

„შ) საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული საქმიანობის განხორცილების მიზნით საქონლის გადაცემა ან/და მომსახურების გაწევა.“.

11. 194-ე მუხლის მე-5 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) ფილანთროპიის ან/და ქველმოქმედების განხორციელების მიზნით გაწეული მობილური საკომუნიკაციო მომსახურება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2021 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი